



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030122662620916

№ 01-103/თ

28 / აპრილი / 2016 წ.

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარების განსაზღვრის თაობაზე

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ნუსხა“ დანართით თანდართული რედაქციით.
2. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე პირებად განისაზღვროს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ნუსხა) ბენეფიციარები, რომლებიც ამ დაწესებულებებში, თავშესაფრებსა და ორგანიზაციებში მოთავსებული არიან „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანების შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №01-79/თ ბრძანება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგუენკო

სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ნუსხა

№	სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრისა და სათემო ორგანიზაციის სახელწოდება, სამართლებრივი სტატუსი	დაწესებულების/ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი
1	ა(ა)იპ ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი	203839427
2	ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკი	217889300
3	ა(ა)იპ მომავლის სხივი	437058997
4	ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი	211334091
5	ა(ა)იპ ბავშვი და გარემო	203832460
6	ა(ა)იპ დივან ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია	404406308
7	ა(ა)იპ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი	237078256
8	ა(ა)იპ ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი	245609630
9	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი World Vision International-ის ფილიალი საქართველოში	203844251
10	ა(ა)იპ საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს“ საქართველო	205215845

11	ა(ა)იპ საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი	249262097
12	ა(ა)იპ სოციალური პარტნიორობა	404940711
13	ა(ა)იპ თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი	231286836
14	ა(ა)იპ სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი	240392222
15	ა(ა)იპ ხელი ხელს	427716037
16	ა(ა)იპ საქველმოქმედო კავშირი „თემი“	204417069
17	ა(ა)იპ თაობათა კერა	440388171
18	ა(ა)იპ უფლის შეწევნით	405049200
19	ა(ა)იპ სოციალური დახმარების ცენტრი	400124236
20	ა(ა)იპ უზრუნველი სიბერე	440388224
21	ა(ა)იპ მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი ჩემი ოჯახი	400083477
22	ა(ა)იპ ბეთელი	440390239
23	ა(ა)იპ ბასილიადა	404950193
24	ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ჩემი სახლი“	404457217
25	ა(ა)იპ ბროწლიანის სათნოების სახლი	440390863
26	ა(ა)იპ ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდი	248387892
27	ა(ა)იპ წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრი	236097978
28	ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი ბარბარე-XXI	400151045